სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი
470.230.000.11.119.004.536

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბრძანება №239/ნ

2000 წლის 5 დეკემბერი

ქ. თბილისი

სამედიცინო დაწესებულებებიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურებისათვის ოპერატიული ინფორმაციის მიწოდების შესახებ

დამნაშავეობასთან ბრძოლის გააქტიურებამ დღის წესრიგში დააყენა სამედიცინო დაწესებულებებიდან შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის ოპერატიული ინფორმაციის აუცილებელი და დროული მიწოდების საკითხის რეგულირება, რაც მნიშვნელოვნად დაეხმარება პოლიციას დანაშაულებათა გამოვლენისა და მათი ოპერატიულად გამოძიების საქმეში. აღნიშნულიდან გამომდინარე, „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის V თავის 45-ე მუხლის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს სამედიცინო დაწესებულებებიდან სამართალდამცავი ორგანოებისათვის ცნობების მიწოდების ინსტრუქცია (დანართი 1).

2. (ამოღებულია - 11.08.2014, N01-56/ნ).

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 11 აგვისტოს ბრძანება №01-56/ნ - ვებგვერდი, 11.08.2014წ.

3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის 1986 წლის 14 იანვრის № 10/20 ბრძანება.

4. (ამოღებულია - 11.08.2014, N01-56/ნ).

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 11 აგვისტოს ბრძანება №01-56/ნ - ვებგვერდი, 11.08.2014წ.

ა. ჯორბენაძე

შეტანილი ცვლილებები:

1. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 11 აგვისტოს ბრძანება №01-56/ნ - ვებგვერდი, 11.08.2014წ.

დანართი 1

სამედიცინო დაწესებულებებიდან სამართალდამცავ ორგანოებში ცნობების მოწოდების ინსტრუქცია

1. პოლიციისათვის ცნობის გადაცემას ექვემდებარება:

ა) ყველა ტრავმული და ტრავმაზე საეჭვო შემთხვევა, როცა პაციენტი იმყოფება უგონო მდგომარეობაში, ან ავადმყოფი მიუთითებს ნაძალადევ ქმედებაზე;

ბ) უეცარი სიკვდილის ყველა შემთხვევა;

გ) ნაძალადევი სიკვდილის ყველა შემთხვევა;

დ) მოწამვლაზე საეჭვო შემთხვევა (გარდა ნარკოტიკული ზედოზირების მდგომარეობისა), როცა პაციენტი იმყოფება უგონო მდგომარეობაში, ან ავადმყოფი მიუთითებს ნაძალადევ ქმედებაზე;

ე) ქიმიური ან რადიაციული მოწამვლის ყველა და კვებითი ტოქსიკოინტოქსიკაციის ჯგუფური შემთხვევა;

ვ) საავადმყოფოში გვამის მიტანის, ან პაცინეტის მიყვანიდან 24 საათში დამდგარი სიკვდილის ყველა შემთხვევა, თუ ის უკავშირდება ნაძალადევ ქმედებას.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 11 აგვისტოს ბრძანება №01-56/ნ - ვებგვერდი, 11.08.2014წ.

1^1. პოლიციისათვის ცნობის გადაცემას არ ექვემდებარება ნარკოტიკული ზედოზირების მდგომარეობის შემთხვევები, თუ დამატებით სახეზე არ არის ამავე ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული სხვა გარემოებები.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 11 აგვისტოს ბრძანება №01-56/ნ - ვებგვერდი, 11.08.2014წ.

2. ტელეფონოგრამის გაგზავნის შესახებ ცნობა უნდა დაფიქსირდეს სტაციონარის მიმღებ ჟურნალში.

3. ცნობის გაცემაზე პასუხისმგებელია საავადმყოფოს მორიგე ექიმი.

4. ტრავმული დაზიანებით ამბულატორიულ დაწესებულებაში მოყვანილი ყველა შემთხვევის შესახებ ცნობა უნდა დაფიქსირდეს ამბულატორიის სარეგისტრაციო ჟურნალში.

5. ცნობის გაცემაზე პასუხისმგებელია ის ექიმი, რომელმაც აღმოუჩინა პირს სამედიცინო დახმარება.

6. სასწრაფო დახმარების ექიმი გამოძახების დროს გვამის აღმოჩენის შემთხვევაში ვალდებულია აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს პოლიციას და შემთხვევის ადგილზე დაელოდოს მის მოსვლას.

7. თუ აუცილებელია პირის სტაციონარში გადაყვანა, სასწრაფო დახმარებას იგი გადაჰყავს სტაციონარში. ამის შემდეგ, შემდგომ მოქმედებაზე პასუხს აგებს სტაციონარის მორიგე ექიმი.

8. ამ პუნქტში ჩამოთვლილ შემთხვევებში, სასწრაფო დახმარების მიერ ბინაზე გაწეული დახმარების დროს სასწრაფო დახმარების ექიმი ვალდებულია აცნობოს პოლიციას და აღნიშნული ფაქტი დააფიქსიროს გამოძახების სარეგისტრაციო ჟურნალში.

9. იმ შემთხვევაში, თუ ნებისმიერი სამედიცინო დაწესებულებიდან არ ხერხდება პოლიციაში სატელეფონო კავშირის დამყარება, დაწესებულების ადმინისტრაცია ვალდებულია აღნიშნულის შესახებ არა უგვიანეს 24 სთ-ისა აცნობოს პოლიციას.